# საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

## განმარტებითი ბარათი

ა. ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა. კანონპროექტის მიღების მიზეზი

საქართველოს ორგანულ კანონში " საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" განხორციელებული ცვლილების შესაბამისად სახალხო თავისი უფლებამოსილების განხორციელებას მიანდობს მისივე სპეციალური რწმუნებით აღჭურვილ პირს, რომელიც უნდა სარგებლობდეს სამართლებრივი დაცვის იმავე გარანტიებით, რომელიც დაწესებულისა სახალხო დამცველისათვის.
ა.ბ. კანონპროექტის მიზანი;
კანონპროექტი მიზნად ისახავს ორგანულ კანონში "საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" განხორციელებული ცვლილების შესაბამისად სისხლის სამართლის საპროცესო კანონში მოხდეს ცვლილება .

ა.გ. კანონპროექტის ძირითადი არსი
წარმოდგენილი კანონპროექტით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით /მუხლი 95/ იმ პირთა წრეს, რომლებიც არ შეიძლება მოწმედ დაიკითხონ, სახალხო დამცველთან ერთად ემატება სახალხო დამცველის სპეციალური რწმუნებით აღჭურვილი პირი.

ბ. კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა/ კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;
კანონპროექტის მიღება არ იწვევს ხარჯებს

ბ.ბ/ კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტში საშემოსავლო ნაწილის ზრდას

ბ.გ/ კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე
კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას

ბ.ე/ კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები იმ პირთათვის, ვისზედაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;
კანონპროექტის მიღება არ არის დაკავშირებული თანამდებობის პირთა ფინანსურ ვალდებულებებთან

ბ.ვ/კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი /პრინციპი/;
კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღების ვალდებულებას.

გ/ კანონპროექტის მიმართება საერთ შორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა/ კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;
კანონპროექტის მიღებით არ იცვლება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებით

გ.ბ/ კანოპნპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან;
კანონპროექტის მიღება შეესაბამება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ/ კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა/ სახელმწიფო, არასახელმწიფო ან საერთაშორისო ორგანიზაცია, დაწესებულება, ექსპერტები. რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშაავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა

დ.ბ/კანონპროექტის შმუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების ან და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ/ასეთის არსებობის შემთხვევაში

დ.გ/ კანონპოექტის ავტორი
ნაზი არონია

დ.დ/ კანონპროექტის ინიციატორი

ნაზი არონია